პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 158 (4668)
1972 წ. 13 აგვისტო, კვირა.
ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## მეცამეტე პარტია

როგორც იცით, სპასკი — ფიშერის მატჩის მეცამეტე პარტია გადაიდო ამ მდგომარეობაში:

ფიშერი



სპასკი

პოზიცია იმდენად მწვავეა, რომ სპეციალისტებმა დიაგნოზი ვერ დაუსვეს. დაკმაყოფილდნენ მხოლოდ შენიშვნით: სპასკის დიდი ბრძოლა დასჭირდება ყაიმის მისაღწევადო.

თამაში რომ განახლდა, ფიშერმა ორი ზედმეტი პაიკის რეალიზაციის უალრესად მწვავე გეგმა აირჩია. მან კუც შესწირა, ოღონდ კი თავისი გამსვლელი პაიკები აამოძრავებინა.

სპასკიმ ენერგიულად შეუტია საწინააღმდეგო ფრთაზე, თავადაც გამსვლელი პაიკი რომ შექმნა. ბოლოს მსოფლიო ჩემპიონმა ფიშერის ერთადერთი ფიგურა — ეტლი თამაშიდან გამოთიშა. და მაინც ყაიმის მისაღწევად ზუსტი თამაში იყო საჭირო.

69-ე სვლის დროს დაფაზე საყაიმო პოზიცია შეიქმნა. სპასკის რომ ეთამაშა 69. ეc3+ მფd4 71. ეf3 მფe4 72. ეc3 ყაიმი იყო. მან ცუდი ქიში იქვა და იძულებული გახდა ფიშერის დატყვევებული ეტლი გაეთავისუფლებინა. რა თქმა უნდა, ეტლმა თავის პატრონს ბრძოლა მოაგებინა.

აი, როგორ მიხდა ეს:

42. მფg3 (ჩაწერილი სვლა) 42. ... ეa3+ 43. c3 ეha8 44. ეh4 e5 45. ეh7+ მფe6 46. ეe7+ მფd6 47. ე:e5 ე:c3+ 48. მფf2 ეc2+ 49. მფe1 მფ:d7 50. ეe:d5+ მფc6 51. ეd6+ მფb7 52. ეd7+ მფa6 53. ე7d2 ე:d2 54. მფ:d2 b4 55. h4 მფb5 56. h5 c4 57. ეa1 gh 58. g6 h4 59. g7 h3 60. კe7 ეg8 61. კf8 h2 62. მფc2 მფc6 63. ეd1 b3+ 64. მფc3 h1ლ 65. ე:h1 მფd5 66. მფb2 f4 67. ეd1+ მფe4 68. ეc1 მფd3 69. ეd1+ მფe2 70. ეc1 f3 71. კc5 ე:g7 72. ე:c4 ეd7 73. ეe4+ მფf1 74. კd4 f2. თეთრები დანებდნენ.

ანგარიში გახდა 8:5 ფიშერის სასარგებლოდ.



## წყლის სტიქიაში...



აქ პაპანაქებაში სიცხეში ადამიანს ყველაზე მეტად წყალი იზიდავს. ამ მხრივ წყლის სტიქიასთან დაკავშირებული სპორტსმენები საკმაოდ პრივილეგირებულ მდგომარეობაში არიან — მათ „სამსახურებრივი მოვალეობის" ძალით უწევთ გაგრილება. ამ სურათებზეც ეს მომენტებია აღბეჭდილი.

თ. გელაშვილისა და ა. საკოევის ფოტოები.

### ფიზკულტურელის საკავშირო დღეს მიეძღვნა

## ძმა ძმისთვისაო...

ფიზკულტურელის საკავშირო დღესთან დაკავშირებით საზეიმოდ მორთულ თბილისის „ლოკომოტივის" საცურაო აუზზე გუშინ ადრე დილიდანვე დაიწყო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსით გათვალისწინებული ნორმატივების ჩაბარება ცურვაში. ცისფერ ბილიკებს პირველნი გამაჯანსაღებელ ჯგუფებში მომეცადინე სხვადასხვა ასაკისა და პროფესიის ადამიანები გაუდგნენ. შეფასება ოქროს ნიშანზე კი ყველაზე უწინ 11 წლის მოსწავლე ნოდარ კალოზაშვილმა დაიმსახურა. ნოდარი უფროსმა ძმამ მერაბმა მიიყვანა აუზზე ამ ორი კვირის წინ და ცურვაც თავად შეასწავლა. გამოცდა მერაბმაც ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარა.

9 საათიდან აუზი საქართველოს მოცურავეთა ნაკრები გუნდის წევრებს და მათს მწვრთნელებს დაეთმო. სასტარტო ბაქანზე სხვებზე უწინ შედგეს ფეხი საბჭოთა კავშირის დამსახურებულმა მწვრთნელებმა, ვეტერანმა სპორტსმენებმა ლ. იოაკიმიდიმ და შ. მუსასტიკოვმა. მათ კარგა ხანია უკან მოიტოვეს ექვსი ათეული წელი, მაგრამ გული კვლავ ჭაბუკურად ერჩით. ექიმმა სიამოვნებით დაულოცა გზა და ვეტერანი სპორტსმენებიც ჭაბუკთა ნორმატივს შეეჭიდნენ. ორივემ 19-28 წლის ახალგაზრდებისთვის გათვალისწინებული ნორმატივები ჩააბარა ოქროს ნიშანზე. შემდეგ ვეტერანები თავად ისტუმრებდნენ სტარტზე ნორმატივების ჩაბარების მსურველ ახალგაზრდებს.

დღის მეორე ნახევარში სარბიელზე ამიერკავკასიის რკინიგზის ფიზკულტურული კოლექტივების მუშა-მოსამსახურეები და დედაქალაქის საშუალო სკოლების მოსწავლეები გამოვიდნენ. საჩვენებელი გამოსვლები გამართეს წყალბურთელებმა და წყალში მხტომელებმა.



აუზის ფიზკულტურულმა კოლექტივმა სახელდახელოდ გამოუშვა ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი ზეიმის ამსახველი კედლის გაზეთი. აუზზე ზეიმი და ნორმატივების ჩაბარება გვიან საღამომდე გაგრძელდა.

თ. გაჩეჩილაძე.

## საინტერესო საღამო

გუშინწინ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კადრების სამმართველოსა (უფროსი — პოლკოვნიკი პ. გელაშვილი) და ფიზკულტურის კოლექტივის პრეზიდიუმის (თავმჯდომარე — პოლკოვნიკი ლ. დგებუაძე) თაოსნობით ძერჟინსკის სახელობის კულტურის სახლში ფიზკულტურელის საკავშირო დღისადმი მიძღვნილი საღამო მოეწყო.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა სამინისტროს ფიზკულტურის კოლექტივის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ, პოდპოლკოვნიკმა ბ. გაბელიამ. სამინისტროს ცენტრალური აპარატის ინსტრუქტორმა ვ. ქობულაშვილმა ვრცლად ილაპარაკა ფიზკულტურული კოლექტივის მუშაობაზე, დამსწრეთ უამბო, რა შედეგებით შეხვდნენ სამინისტროს სპორტსმენები და ფიზკულტურელები ამ ღირსშესანიშნავ დღეს.

ამავე საღამოს სპორტის დამსახურებული ოსტატის შ. იამანიძის სახელობის თასი გადაეცათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამმართველოებს შორის გამარჯვებულ საქართველოს სატრანსპორტო მილიციის განყოფილების ფეხბურთელებს, რომლებმაც ტურნირში ყველა მეტოქე დაამარცხეს და დამსახურებულად მოიპოვეს სამინისტროს ხელმძღვანელობის დაწესებული პრიზი.

დამსწრეთ ბ. სპასკისა და რ. ფიშერის მატჩის მსვლელობაზე ესაუბრა ჭადრაკის მიმომხილველი თ. გიორგაძე, რომელმაც შემდეგ ერთდროული თამაშის სეანსი ჩაატარა.

ი. ფიქიაძე.

## რაიონიდან სპორტსმენი

### ◆ სამტრედია

დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპორტდარბაზში ჩატარდა „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზონალური პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. შეჯიბრებაში მონაწილეობა უნდა მიეღო 15 გუნდს, მაგრამ მხოლოდ ოთხი გუნდი (აფხაზეთი, ლენტეხი, ახალციხე, სამტრედია) გამოცხადდა. პირად ჩათვლაში გაიმარჯვეს ვ. ხარშილავამ (აფხაზეთი), ზ. ქურასბედიანმა, ა. გელოვანმა, დ. ონიანმა, მ. ლიპარტელიანმა, გ. ჯანხოთელმა, ა. ქურასბედიანმა (ყველა — ლენტეხი), ე. კვირკველიამ (სამტრედია). გუნდური გამარჯვება ლენტეხელებს ხვდათ.

ჯ. ბაშაკიძე.

### ◆ აბაშა

მოეწყო „კოლმეურნის" ცენტრალური საბჭოს ზონალური პირველობა ქართულ ჭიდაობაში. გამარჯვებისთვის 10 გუნდი ასპარეზობდა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. ხოშტარიამ (აბაშა), ი. ჯლამაძემ, ი. ნარმანიამ (ორივე — ცხაკაია), მ. თოდუამ (ჩხოროწყუ), რ. გიგინეიშვილმა (აბაშა), გ. დვალიშვილმა (მახარაძე), ნ. ბექანიძემ (ოჩამჩირე), ა. წითლიძემ (ცხაკაია). გუნდური გამარჯვება ცხაკაიელებს დარჩათ.

რ. ჯანტურია.

ფურცგურგი, 11 აგვისტო. დ. გროზაიმ (გფრ) აქ ევროპის რეკორდი დაამყარა 800 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვაში — 8.35,5. ვ. ლამპეს (გფრ) ძველი მიღწევა 2,6 წამითაა გაუმჯობესებული.

## 54 ანკესი

გასულ კვირას მდინარე მაგანა მეთევზეთა ასპარეზად იქცა: 54 ანკესი ერთბაშად ჩაეშვა წყალში. წალენჯიხაში ეს პირველად ჩატარდა „კოლმეურნის" რაისაბჭოს ჩემპიონატი სპორტულ თევზაობაში. შეჯიბრებაში 13 კოლმეურნეობის მეთევზეთა გუნდები მონაწილეობდნენ.

დებულების თანახმად, თევზაობა სამ საათს გაგრძელდა. გუნდური I ადგილი დაიკავეს გეგეჭკორის სახელობის ჯვარის კოლმეურნეობის მეთევზეებმა, რომლებმაც 24 ქულა მოაგროვეს. მათ 2 ქულით ჩამორჩნენ II ადგილზე გასულები — 1 მაისის სახელობის წალენჯიხის კოლმეურნეობის წარმომადგენლები. III ადგილი ხვდათ მ. კვარაცხელიას სახელობის ჯგალის კოლმეურნეობის მეთევზეებს.

პირად პირველობაში საუკეთესო იყო რუსთაველის სახელობის ჯგალის კოლმეურნეობის გუნდის წევრი ა. ჩანგელია — 10 ქულა. 6 ქულით II ადგილზე გავიდა გეგეჭკორის სახელობის ჯვარის კოლმეურნეობის წევრი შ. ქარდავა.

ო. სალია.
(ჩვენი კორ.).

წალენჯიხა.

# მიუნჰენის XX საზაფხულო ოლიმპიური თამაშების გახსნამ

München-72





მათი კურსი — ოლიმპიადა

# მსოფლიო რეკორდსმენები

ერევნელმა ბადრის მტყორცნელმა ფაინა მელნიკმა ამ ბოლო დროს ფენომენალურ შედეგებს მიაღწია. ყველაზე სასიხარულო ის გახლავთ, რომ მელნიკის გამოსვლებს საოცარი სტაბილურობა ახასიათებს. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, წვრთნისადმი ერთგული დამოკიდებულებისა და დაუცხრომელი შრომის ნაყოფია. ფ. მელნიკი თავისუფალ დროსაც კი არ არის უქმად (იხ. მარჯვენა ზედა სურათი), საწვრთნელ მეცადინეობას კი ძალიან მრავალფეროვანი პროგრამით ატარებს (იხ. მარცხენა სურათი).

მელნიკის ყოველი გამოსვლის დროს მძლეოსნობის სპეციალისტები და მაყურებლები მსოფლიოს ახალ რეკორდს ელიან. ბოლოს მან ამგვარ წარმატებას ამას წინათ მიაღწია მოსკოვში, როცა უკონკურსოდ asპარეზობდა სსრ კავშირის თასზე — „იზვესტიის" თასზე. იმ დღეს მელნიკმა 1,28 მეტრით გააუმჯობესა თავისივე მსოფლიო რეკორდი და ციფრილი ასე შეასწორა: 66,76 მ.

ასევე დიდებულ შედეგებს აღწევს ამერიკელი მოცურავე, კალიფორნიელი სტუდენტი 22 წლის მარკ სპიტცი, რომელიც მსოფლიო რეკორდებს ფლობს თავისუფალი სტილით და ბატერფლაით ცურვაში.

ცხადია, ეს ორივე სპორტსმენი თავიანთი ქვეყნების ღირსებას დაიცავს ოლიმპიურ თამაშებში.



ვ. უნ და-ხინისა (საკდესი) და გაზეთ „მორნინგ სტარის" (ლონდონი) ფოტოები.

# ლაპიდარული წარწერები

არ მახსოვს, იმ შაბათ დილას რატომ და რისთვის მოვხვდი „ლოკომოტივის" უკაცრიელ სტადიონზე. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. ერთ-ერთ ტრიბუნაზე ადგილი დავიკავე და ფიქრების ბურუსში გავეხვიე. გამახსენდა აქ ნანახი სხვადასხვა სპორტული ზეიმი და შეჯიბრება, სასიამოვნო თუ უსიამოვნო წუთები, მესხი, მეტრეველი, იამანიძე... ეჰ, რომელი ერთი!

მოგონებებში ჩაფლულმა ვერც კი შევამჩნიე, როგორ მომიახლოვდა უცხოდ ჩაცმული ბერიკაცი. მისი იერი და თეთრი ქათქათა მოსასხამი რომელიღაც მითოლოგიურ ღმერთს მაგონებდა.

— ნება მიბოძეთ წარმოგიდგეთ, — ხმადაბლა წარმოთქვა მან, — ძველი ბერძენი მწერალი, „ისტორიის მამა", როგორც თქვენი ხალხი მიწოდებს, ჰეროდოტე.

— სასიამოვნოა, მაგრამ...

— მოდით, შევთანხმდეთ, რომ ამ შეკითხვას უპასუხოდ დავტოვებთ. უფრო საინტერესო იქნება, თუ სპორტზე გავისაუბრებთ, — მომიგო მან და დინჯად განაგრძო: — როგორ ფიქრობთ, ჩემს დროს უფრო ღონიერი და ძლიერი, სწრაფი და ამტანნი იყვნენ ადამიანები, თუ თქვენს დროში? მე მგონია, ჩემს დროს და აი, რატომ: ოლიმპის მუზეუმში დღესაც ინახება ქვა, რომელიც 143,5 კილოგრამს იწონის. ქვაზე ასეთ წარწერას ამოიკითხავთ: „ბიბონმა თავს ზევით ამწია ცალი ხელით".

— კი მაგრამ, რა ხერხით? — გკითხე გაოგნებულმა.

— თქვენ ალბათ მხედველობაში გაქვთ ის სამი მოძრაობა, რომლებსაც ატაცს აჭიმვას და აკვრას უწოდებთ. ჩვენს დროში კი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ.

— მართალი გითხრათ, არა მგონია, რომ ეგ თქვენი ბიბონი ალექსეევზე ღონიერი ყოფილიყო, თუმცა ამის დამტკიცება პრაქტიკულად არ შემიძლია.

„ისტორიის მამას" გაეღიმა, გვერდით მომიჯდა და წარმოთქვა:

— მეც იგივეს ვიტყოდი, ოღონდ შებრუნებით, თუმცა პრაქტიკულად ვერც მე დაგიმტკიცებთ. დაე, დრომ და მკვლევრებმა განსაჯონ ამის შესახებ. ახლა კი ჩვენი დროის უძლიერეს ათლეტზე მილონზე მოგიყვებით, რომელიც საუცხოო მოჭიდავე გახლდათ. პირველი დაფნის გვირგვინი მან მიიღო 536 წელს თქვენს წელთაღრიცხვამდე, ხოლო უკანასკნელი — 516 წელს. ამ ხნის განმავლობაში მილონმა ზედიზედ ექვსჯერ მოიპოვა ოლიმპიური ჩემპიონის სახელი, რაც უმაგალითოა თქვენი ეპოქისთვისაც და, თუ მეხსიერება არ მღალატობს, მხოლოდ ვინმე ამერიკელ ორტერს თუ შეუძლია გაიმეოროს ეს მიღწევა. მილონი ასევე დიდი წარმატებით გამოდიოდა სხვადასხვა შეჯიბრებაში. მაგალითად, მან თექვსმეტჯერ გაიმარჯვა ისთმურ, ცხრაჯერ ნემურ და ექვსჯერ პანათინეურ თამაშებში. ყოველივე ამაზე რას მეტყვით?

— მხოლოდ იმას, რომ ვერც ორტერი გაიმეორებს მაგ მიღწევას, ვინაიდან მას მხოლოდ ოთხი ოქრო აქვს მოპოვებული, — მოკლედ მივუგე და მის სახეზე კმაყოფილების ღიმილი შევნიშნე.

— მორბენლებზე ხომ არ გვესაუბრა? — პატარა პაუზის შემდეგ იკითხა ბერიკაცმა და თვითონვე განაგრძო: — ჩვენ წამმზომები არ გვქონდა და, ბუნებრივია, აქ ციფრებს ვერ მოვიყვან, რითაც ათლეტის სისწრაფე განისაზღვრება. მაგრამ ჩვენ გვყავდა მორბენლები, რომლებიც თხებს და, თავად განსაჯეთ, კურდღლებსაც კი იჭერდნენ. რაც შეეხება სარბენ ბილიკებს, სიგრძით ისინი ბევრად განსხვავდებოდა თქვენი ბილიკებისგან. ჩვენი მორბენლები ფარავდნენ მანძილს, რომელსაც „სტადია" ეწოდებოდა, სწორედ ამ სიტყვიდან წარმოიშვა სახელწოდება თქვენი სტადიონისა. „სტადია" ჩვენებურად 600 ტერფს, ხოლო თქვენებურად 192 მეტრსა და 27 სანტიმეტრს უდრიდა. არსებობდა კიდევ „დიდი სტადია", რომლის მანძილი 950 მეტრს შეადგენდა. მე-14 ოლიმპიადიდან მოყოლებული, პროგრამაში შეიტანეს „დიაულოსი", რაც ორ „სტადიას" უდრიდა. შემდეგში წარმოიშვა „დოლიქოსი", რომელიც 24 „სტადიისგან" შედგებოდა. მაშ ვინ უფრო სწრაფი და ამტანი ყოფილა?

— ამაზე მკვლევრებმა უკვე იმსჯელეს. ერთ-ერთმა მათგანმა ველიშსკიმ გამოთვალა, რომ 12 „დიდ სტადიას" თქვენი ათლეტები გარბოდნენ საშუალოდ 36 წუთში, 20 „სტადიას" — ერთ საათში და 24 „სტადიას" — საათსა და 12 წუთში. შედარებისთვის სჯობს ავიღოთ მეორე შედეგი, რადგან „საათიანი რბენა" ერთ დროს ჩვენშიც გავრცელებული იყო და ბოლო მსოფლიო რეკორდი 20679 მეტრს უდრიდა.

— საინტერესოა! — აღმოხდა ბერიკაცს.

— თქვენმა ერთ-ერთმა საუკეთესო მორბენალმა კი, ტისანდრმა, — გამარჯვებულის ტონით განვაგრძე, — 22-ე ოლიმპიურ თამაშებში ერთ საათში 20 „დიდი სტადია" გაირბინა, რაც ჩვენებურად 19200 მეტრს შეადგენს. ეს ციფრები კი, საწყენად არ მიიღოთ და...

— გასაგებია, გასაგები, — ნაღვლიანად დაასკვნა ჰეროდოტემ. — ... ჰმ, მაოცებს თქვენი მხტომელების საქციელი. რატომ? იმიტომ, რომ ჩვენი ათლეტები მუსიკის თანხლებით ხტებოდნენ.



დიახ, დიახ! — დაბეჯითებით წარმოთქვა მან, როცა ჩემს სახეზე გაკვირვება ამოიკითხა. — ამ დროს ფლეიტის სასიამოვნო ჰანგები ისმოდა, ხოლო მხტომელს ხელში ქვის ჰანტელები ეჭირა, ვინაიდან, ჩვენი აზრით, ამით უფრო მაღალი შედეგის მოპოვება შეიძლებოდა. ყველაზე კარგ მხტომელად ფაილი ითვლებოდა, რომელიც 70-ე ოლიმპიადის დროს 55 დელფიურ ტერფზე გადახტა, ესე იგი, თქვენებურად — 16 მეტრსა და 31 სანტიმეტრზე. შედეგი კი თითქმის ორჯერ აღემატება თქვენს მსოფლიო რეკორდს სიგრძეზე ხტომაში.

— თქვენ აქაც სცდებით, — უკვე გაბრაზებულმა წამოვიყვირე და ცნობილი უნგრელი ისტორიკოსის ფ. მიოზის არგუმენტაცია მოვიშველიე: „სამი ნახტომის შედეგს აჯამებდნენ და საბოლოოდ მას აცხადებდნენ".

მოხუცი ერთხანს გარინდებული იჯდა, შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: ეს კიდევ დასამტკიცებელი გაქვთო, და ხელში რაღაც საგანი შეათამაშა.

— უკაცრავად, ხელში რა გიჭირავთ? — მივმართე მას.

# ამერიკელთა მიზანი

ამ დღეებში ამერიკის ქალაქ იუჯინში (ორეგონის შტატი) მოეწყო მძლეოსანთა შეჯიბრება, რომლის შემდეგაც ცნობილმა მწვრთნელმა სემ რაიტმა (იგი მიუნხენის ოლიმპიური თამაშებისთვის ამზადებს კვარტეტს 4×100 მეტრზე ესტაფეტაში) განაცხადა: „მე ვფიქრობ, ოქროს მედლის მოპოვებისთვის საჭირო იქნება სარეკორდო შედეგი — 37,8 ან 37,9 წამი".

ს. რაიტი ამერიკელთა გუნდს ამზადებდა მეხიკოს ოლიმპიური თამაშებისთვისაც, სადაც ჩ. გრინმა, მ. პენდერმა, რ.-რ. სმითმა და ჯ. ჰაინსმა მსოფლიო რეკორდი დაამყარეს — 38,2. ეს რეკორდი დღესაც უცვლელია.

„მიუნჰენისთვის შერჩეული ჩვენი ბიჭები სტაბილური შედეგებით გამოირჩევიან და 38 წამზე უკეთესი შედეგისთვის არიან მზად, — თქვა რაიტმა. — ახლა საესტაფეტო ჯოხის გადაცემის ტექნიკას ვამუშავებთ".

ესტაფეტური რბენის ამ მნიშვნელოვან ელემენტში რაიტის მოწაფეები მუდამ უზადო ოსტატობას აღწევენ. „გულმოდგინე წვრთნის შემდეგ ოსლოს ბაზრობაზე საერთაშორისო შეჯიბრებაში გამოვცადით თავს". რაიტს განზრახული აქვს ესტაფეტის მონაწილენი ასე გაანაწილოს: სტარტიდან გაიქცევა რეი რობინსონი, რომელიც ფაქტიურად არ აკეთებს ფალსტარტს და შესანიშნავად დარბის მოსახვევებში. რობერტ ტეილორი, პირიქით, მოსახვევებში სუსტია, მაგრამ სწორ გზაზე ძალიან ძლიერია. მოსახვევში ძალიან კარგად დარბის მესამე მონაწილე — ჰაროლდ ტინკერი, ესტაფეტას კი ედი ჰარტი დაამთავრებს („ოთხეულიდან მას ერთადერთს აქვს საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის დიდი გამოცდილება და არ შეკრთება ისეთ მეტოქეებთან ბრძოლაში, როგორიც არიან ბორზოვი, ზამბიუკი, ლესოქს მილერი", — ამბობს მწვრთნელი).

რაც შეეხება სემის ჰოგვარეს გუვერ რაიტს, რომელიც ახლა ამერიკის კვარტეტს ამზადებს 4×400 მეტრზე ესტაფეტაში, იგი სულაც არ არის ოპტიმისტურად განწყობილი მსოფლიო რეკორდის თვალსაზრისით. „ჩვენ ვიცით, რომ სტარტიდან მეტოქეობას ვერავინ გაგვიწევს. ამიტომ ჩვენი ამოცანაა გამარჯვება შევინარჩუნოთ, მაგრამ მსოფლიო რეკორდისკენ არ ვილტვით. მიუნჰენში ჩვენ იგი სულაც არ გვჭირდება". მიუხედავად ამ სიტყვებისა, მისი მორბენლები თუ არ დაამხობენ, მიაღწევენ მაინც ამერიკელთა მიერ მეხიკოში დამყარებულ რეკორდს — 2.56,1.

გერმანულიდან თარგმნა

ხ. ლურსმანაშვილმა.

# „დიდი ფასების ოლიმპიადა“

[XX] საზაფხულო ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს იმედი აქვთ, მიუნჰენის შეჯიბრება ისტორიაში „მწვანე ოლიმპიადის“ სახელით შევა. ვარაუდის საფუძველს მათ აძლევს ერთიან ანსამბლში თავმოყრილი სპორტული ბაზების კომპლექსი უზარმაზარი მწვანე პარკის მოედნებზე.

მიუხედავად ამისა, შეიძლება სტუმრებმა მიუნჰენის ოლიმპიადას „დიდი ფასების ოლიმპიადა“ უწოდონ. ამისთვის საკმაო საფუძველი არსებობს. [ბიზ]ნესმენებისთვის ხუთი ოლიმპიური რგოლის სიმბოლო — ხუთი კონტინენტის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის სიმბოლო — ხუთ ხახად იქცა, რომელმაც ასპარეზობის წინ დარჩენილ დღეებში, აგრეთვე, თამაშების პერიოდში რაც შეიძლება მეტი ფული უნდა ჩანთქან.

ფასების სტიქიურმა ზრდამ უკვე [ოფიც]იალური ხელისუფლების შეშფოთება გამოიწვია. რესტორნებში ძროხის [ხორ]ცის შნიცელის ფასმა ზღაპრულ [დონე]ს მიაღწია — 11 მარკა გახდა. [ერ]თი კათხა ლუდი 4 მარკა ღირს. [...]ს წინათ ქალაქის ხელმძღვანელობამ [შექ]მნა კომისია, რომელსაც ფასების [კო]ნტროლი და შეზღუდვა დაევალა. [მაგ]რამ ვაჭრები არ დაიბნენ: მათ [...]ში განაცხადეს, რომ შნიცელის ფასი 8,5 მარკას არ გადააჭარბებს. ამ[...] ისინი ღორის ხორცის შნიცელს [...], რითაც კიდევ უფრო მეტ [...] იგებენ.

სასტუმროებში უკვე დაწესდა სპეციალური „ოლიმპიური“ ფასები, რაც გრძნობლად მეტია ჩვეულებრივზე. [...] ფორდი აპარტამენტებში დღეღამეში 3500 მარკას იხდის „ავტომობილების მეფეს“ შეუძლია თავს ასეთი [ფუფ]უნება მისცეს, მაგრამ ოლიმპიადის [სტუმრ]ების უმეტესობა იცხოვრებს ჩვეულებრივ სასტუმროებში, სადაც არც [კო]მფორტია, არც განსაკუთრებული ნომრები. მიუხედავად ამისა, იქაც ფასი [...] 100-180 მარკამდე გაიზარდა. [...] იმატა ფასებმა სურსათის მაღაზიებშიც.

„მარიენპლაცზე“ გაჩაღებულია ვაჭრობა სუვენირებიანი მაისურებით, რომელთა ფასიც 10 მარკას აღწევს.

მკვეთრად გაძვირდა თეატრის ბილეთებიც. ოპერის თეატრში მილანის „ლა სკალას“ საგასტროლო სპექტაკლებზე ბილეთების ფასი 10-დან 120 მარკამდე გაიზარდა.

ოლიმპიური რგოლების ნიშნით გამოხატული ეს ბიზნესი უაღრესად უსიამოვნო გრძნობას იწვევს.

ყველაზე მეტი აჟიოტაჟი მაინც ოლიმპიური ბილეთების ირგვლივ გაჩაღდა. „შავ ბაზარზე“ მათი ფასი ყოველდღიურად მატულობს.

ახლახან დასავლეთგერმანულმა გაზეთმა „ბილდმა“ საინტერესო ექსპერიმენტის მოწყობა გადაწყვიტა. გაზეთმა გამოაქვეყნა შემდეგი განცხადება: „რედაქციას სასწრაფოდ სჭირდება ბილეთები ოლიმპიური თამაშების გახსნისა და დახურვის ცერემონიალზე, აგრეთვე, მძლეოსანთა შეჯიბრებაზე. ამას საოცარი შედეგი მოჰყვა: ერთ საათში თითქმის 60 კაცმა შესთავაზა რედაქციას ტელეფონით თავისი სამსახური. ისინი, სულ ცოტა, ორმაგ ფასს მოითხოვდნენ, 50-მარკიანი ბილეთების უდიდესმა ფასმა კი 700 მარკა შეადგინა!

რედაქციამ რამდენიმე კაცის სიტყვები ჩაიწერა.

ქ. ფ. მიუნჰენიდან: „ოლიმპიურ ბილეთებს ეძებთ? მე მაქვს რამდენიმე. გახსნის ბილეთები 200 მარკა დაგიჯდებათ“ (ნომინალური ფასი 50 მარკაა).

ქ. ფ. ბრაუნშვაიგიდან: „სამი ბილეთი მაქვს მძლეოსანთა შეჯიბრებაზე, დღის მეორე ნახევრისთვის. 70 მარკა ღირს. რაკი დაინტერესებული ხართ, 210 მარკად მოგყიდით“.

ე. ნ. დუისბურგიდან: „შეიძლია წოგყიდოთ ერთი კვირის ბილეთები მძლეოსნურ შეჯიბრებებზე. მე 370 მარკა დამიჯდა. თქვენ ორმაგი უნდა გადამიხადოთ“.

პ. მ. მიუნჰენიდან: „შემიძლია შემოგთავაზოთ ორი საპატიო ბილეთი, თითოეული 250 მარკა ღირს. ამას გარდა, მძლეოსანთა შეჯიბრებაზე, 9 სექტემბერს, დღის მეორე ნახევრისათვის, მაქვს 70-მარკიანი ბილეთი და სულ 180 მარკად დაგითმობთ. თქვენ ამ ფულის გადახდა არ გაგიჭირდებათ“.

ვ. რ. მიუნჰენიდან: „არ მინდა უსირცხვილოდ დამიძახოთ, მაგრამ ერთ ბილეთში 200 მარკა ბევრი არ უნდა იყოს“ (ლაპარაკია 20-მარკიან შესასვლელ ბილეთზე).

ე. ფ. მიუნჰენიდან: „მე მაქვს ბილეთი საზეიმო გახსნაზე და 700 მარკად მაინც უნდა გავყიდო. უკვე ვკითხე სასტუმროებში ამბავი რამდენიმე პორტიეს. ისინი მეტს მიხდიან“.

მაშ ასე, ოლიმპიადა ჯერ არ დაწყებულა, მაგრამ „რეკორდები“ უკვე დამყარდა.

ლ. ხულორდავა.

დასავლეთგერმანულ გაზეთ „ბილდის“ მასალებიდან.

---

— ჰოო, ეს ის ოლიმპიური ჯილდოა, რომლითაც თქვენს წელთაღრიცხვამდე 444 წელს ხელოვნების კონკურსზე დამაჯილდოვეს. მე მაშინ ზევსის ტაძარში გამოვედი მსმენელთა წინაშე და წავიკითხე ნაწყვეტები ჩემი [...]იდან, სადაც ქება-დიდებას ვასხამდი ბერძნების გამარჯვებას სპარსელებთან.

— ასეთი ჯილდოები სხვა გამოჩენილ პიროვნებებს თუ მიუღიათ?

— როგორ არა! პითაგორას, რომლის თეორემებს ახლაც ასწავლიან თქვენს სკოლებში, ექიმ ჰიპოკრატეს, ფილოსოფოსებს პლატონსა და სოკრატეს, ტრაგიკოსებს სოფოკლესა და ევრიპიდეს...

[...] მოსაუბრემ შეწყვიტა ჩამოთვლა, რადგან მისი მზერა ფეხბურთის პროგრამამ მიიზიდა, რომელიც მის ფერხთით ეგდო.

— ჩვენ ასეთი „სფაირები“ არ გვქონდა, — მიმითითა მან პროგრამის ყდაზე.

— როგორ?

— „სფაირაზე“ გელაპარაკებით... თქვენ მას ბურთს უწოდებთ. თქვენი სიტყვები: „სფერო“, „სფერული“ და „ატმოსფეროც“ ხომ ამ სიტყვიდან წარმოიშვა.

თანხმობის ნიშნად თავი დავუკარი. ერთხანს მდუმარედ ვიჯექით. სხივები ნაზად დათამაშებდნენ სტადიონის [...]ლახს და ათასნაირ ფერებად ირეკლებოდნენ. აქა-იქ სპორტსმენებიც გამოჩენილიყვნენ და ვარჯიშისთვის ემზადებოდნენ. აგერ ვიღაცამ სტარტი აიღო და შურდულივით ვაიჭრა წინ. [...]ანთა ლაპარაკის, რბენისა და სიცილის ხმა ერთიან ზუზუნში გადაიზარდა. [...]ერიკავიც როგორღაც გამოცოცხლდა, თვალები გაუბრწყინდა და მოუსვენრობა დაეტყო.

— მახარებს ყოველივე ეს! — უცბად წამოიძახა მან. — იცით რა აერთიანებს ჩვენს ანტიკურ და თქვენს თანამედროვე სპორტს? ადამიანის სწრაფვა ჰარმონიული განვითარებისკენ — ესაა ძირითადი...

უცბად მაღვიძარას ზარის წკრიალი მომესმა. სიზმრიდან თავდაღწეულმა საათის ისრებს შევავლე თვალი. დილის 7 საათი იყო. უმალ თავში გამიელვა ნანახმა სურათმა. საწოლიდან წამოვდექი და კალენდარს დავხედე, რომელიც რატომღაც 26 აგვისტოზე იყო გადაშლილი. ახლა კი მივხვდი, რამ გამოიწვია სიზმარი. მე ხომ გუშინ თითებზე ვითვლიდი XX ოლიმპიადის გახსნამდე დარჩენილ დღეებს?

გ. სტურუა.

გ. იაშვილის ნახატი.

---

## „ფეხბურთი — ხუთი რგოლი“

ფეხბურთის ბურთის ფონზე წარწერაა — „კონკურსი“. იქვე გამოყვანილია ხუთი ერთმანეთში გადაწნული რგოლი და ციფრები — „XX“. ასეა გაფორმებული ყდა გამოცემისა, რომელიც ახალი ოლიმპიური კონკურსის — „ფეხბურთი — ხუთი რგოლი“ პირობებს ეძღვნება. კონკურსს საკავშირო გაერთიანება „სოიუზსპორტობესპეჩენიე“ ატარებს.

სპორტის მცოდნენი პირველად როდი მონაწილეობენ მსგავს კონკურსებში. მაგალითად, საკავშირო კონკურსში „ოქროს ქალღმერთი-70“, რომელიც ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატს მიეძღვნა, ზუსტი პასუხებისთვის 1200 გულშემატკივარმა მიიღო პრემია.

ახალი შეჯიბრების ლაურეატებს ელით ფულადი პრემიები ათას მანეთამდე. „ფეხბურთი — ხუთი რგოლის“ ტირაჟი ნახევარი მილიონია. შემოსავალი საბჭოთა ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომ განვითარებას მოხმარდება.

(საკდესი).

---

## ოლიმპიური ქრონიკა

# ისევ სკანდალები, ისევ პროტესტები

XII ოლიმპიადას იმდენი პრეტენდენტი გამოუჩნდა, რომ სოკ-მა ვერც კი განიხილა ყველა კანდიდატის საკითხი. საპატიო უფლებას ერთმანეთს ეცილებოდნენ ტოკიო და ჰელსინკი, რომი და ბარსელონა, ბუდაპეშტი და ალექსანდრია, ბუენოს-აირესი და დუბლინი, ლონდონი და ტორონტო, მონრეალი და რიო-დე-ჟანეირო. ბოლოს არჩევანი იაპონიისა და ფინეთის დედაქალაქებზე შეჩერდა და სოკ-ის წევრებსაც სწორედ მათზე მოუხდათ დავა. ჯერ ჰელსინკის საქმეები მიდიოდა უკეთ, მერე ტოკიომ იმძლავრა და კენჭისყრაში 9 ხმის უპირატესობით გაიმარჯვა. იაპონელებმა მყისვე, მათთვის ჩვეული სიზუსტით გამოაცხადეს ოლიმპიადის საზეიმო გახსნის თარიღი — 1940 წლის 21 სექტემბერი. მაგრამ... ამ დროისთვის მსოფლიოში ბევრი გაუგებრობა მოხდა. ჯერ იყო და იაპონიამ გაკვირვებული სამყაროს თვალწინ მოურიდებლად შთანთქა ყოვლად უმწეო მანჯურია. ტოკიომ, ცხადია, დაკარგა ოლიმპიადის ჩატარების ყოველგვარი უფლება, მათ შორის, მორალურიც, და ეს უფლება ავტომატურად მეორე კანდიდატს — ჰელსინკს გადაეცა. მერე კი თვით ცოდვილი პლანეტა გაიყო ორ ნაწილად და კაცობრიობას თავს დაატყდა ტოტალური ომის შავი ღრუბელი. ოლიმპიადისთვის უკვე აღარავის ეცალა.

მეორე მსოფლიო ომის მიზეზით არც XII ოლიმპიადა ჩატარდა და არც მომდევნო, XIII. ეს იყო ადამიანთა ურთიერთობის ყველაზე ბნელი ხანა ჩვენს საუკუნეში. სულ რაღაც 50 წლის მანძილზე ომების მიზეზით ოლიმპიური თამაშები სამჯერ ჩაიშალა და ამდენივეჯერ განახლდა.

ომი ახალი დამთავრებული იყო, ბრიტანეთის ოლიმპიურმა ასოციაციამ მოიწვენო თამაშების ორგანიზაცია რომ ითავა. ლონდონის თაოსნობა ერთხმად მიიღეს, მით უმეტეს, რომ ომის შემდეგ ვერც ერთმა ქვეყანამ ვერ გაბედა ოლიმპიადის მოწყობასთან დაკავშირებული ხარჯების გაღება. XIV ოლიმპიადა ბერლინის თამაშებიდან 12 წლის შემდეგ გაიხსნა. ეს მოხდა 1948 წლის 29 ივლისს (დაიხურა 14 აგვისტოს).

ბევრი რამ შეიცვალა ამ ხნის მანძილზე საერთაშორისო სპორტულ მოძრაობაში. 1937 წელს გარდაიცვალა ფრანგი ბარონი პიერ დე კუბერტენი. სოკ-ის პრეზიდენტად აირჩიეს ბელგიელი ლეტური, მაგრამ ცოტა ხნით. 1941 წელს პრეზიდენტის პოსტი ჩაიბარა შვედმა ზიგფრიდ ედსტრიომმა. ახალმა ხელმძღვანელობამ მკაცრი კონტროლი დააწესა ოლიმპიადების ჩამტარებელ ქალაქთა შერჩევის პროცედურაზე. ეს თუნდაც იმისთვის იყო საჭირო, რომ არ განმეორებულიყო ბერლინის მწარე მაგალითი. ლონდონმა წარმატებით გაიარა ყველა წინასწარი ინსტანცია და თამაშებისთვის მზადებას შეუდგა. პირველ ყოვლისა მან კატეგორიული უარით გაისტუმრა გერმანიისა და იაპონიის დელეგატები — მეორე მსოფლიო ომის გამჩაღებლები.

ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტმა და პირადად ამ კომიტეტის თავმჯდომარემ, 1928 წლის ოლიმპიადის ჩემპიონმა ლორდ დ. ბერგლიმ მიზნად დაისახეს ჩამოსული სტუმრებისთვის მაქსიმალური პირობები შეექმნათ. ეს, რა თქმა უნდა, კეთილშობილური სურვილი იყო, მაგრამ ომის შემდგომი პერიოდის სიძნელეები მაინც ყოველ ნაბიჯზე იგრძნობოდა. საოცრად ძნელი გახდა მონაწილეთა მიღება-დაბინავება, პრობლემად იქცა კვების საკითხის მოწესრიგება და, ასე გასინჯეთ, ოლიმპიელთა უკან, სამშობლოში გამგზავრებაც. არნახულად მოიკიდა ფეხი ყველა სახის სპეკულაციამ, განსაკუთრებით, ბილეთების ბიზნესმა შავ ბირჟაზე, რასაც, სხვათა შორის, ოფიციალური პირნიც არ ერიდებოდნენ. დასაჯდომი ადგილი ცენტრალურ ტრიბუნაზე 5 გირვანქა სტერლინგი ღირდა. 10 შილინგზე (იმ პერიოდში 10 შილინგი ოქროს 10 მანეთს უდრიდა) იაფი ბილეთი საერთოდ არ იყიდებოდა. ალბათ ამიტომაც, ლონდონის ოლიმპიადამ ორგანიზატორებს 200 ათასი გირვანქა სტერლინგი წმინდა მოგება მისცა, რაც მაშინდელი მასშტაბით არნახული თანხა იყო.



ოლიმპიადის გახსნამ სახელმწიფოებრივი ხასიათი მიიღო. თამაშები საზეიმოდ აკურთხა მეფე გეორგ VI. მონაწილეებს გულთბილი სიტყვებით მიესალმა და წარმატება უსურვა პრემიერ-მინისტრმა კლემენტ ეტლიმ. ცერემონიალი დასრულდა იორკის არქიეპისკოპოსის შთაგონებული სიტყვით. ეს იყო ინგლისური ტრადიციების სტილში დადგმული სპექტაკლი, რომელმაც გულწრფელად მოხიბლა მაყურებელი პირველ ყოვლისა მოქმედ პირთა ავტორიტეტითა და ტიტულებით.

ოლიმპიადის გახსნა მართლაც გემოვნებით იყო ჩაფიქრებული და მან თავიდანვე კეთილად განაწყო მონაწილენი. სამწუხაროდ, სპორტულ ნაწილს აშკარად აკლდა ბრწყინვალება. მართალია, რეკორდების ცხრილში 30 ახალი შესწორება იქნა შეტანილი, მაგრამ შედეგების საერთო დონე საგრძნობლად მერყეობდა: ფაშიზმმა ბევრი სახელოვანი სპორტსმენის სიცოცხლე შეიწირა, ახალგაზრდებს კი, ვისაც დაღუპულთა შეცვლა მოუხდა, ჯერ არ ჰქონდათ მიღებული საჭირო გამოცდილება. თითქმის მთელი 6 წლის მანძილზე მსოფლიოში ვერ ნახავდით წვრთნისთვის შესაფერ ადგილს. არ იყო საამისო ხასიათი და გუნება. უვარჯიშოდ კი მაღალ შედეგებზე ფიქრი ძნელია.



სამაგიეროდ, ლონდონში, ისევე როგორც 36 წლის წინ სტოკჰოლმში, ბევრი იყო სკანდალები, უკმაყოფილებანი, პროტესტები. ყველაზე მეტად სცოდავდნენ დაბალი კვალიფიკაციის მქონე, სუბიექტურად განწყობილი მსაჯები. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მოყვარულთა კრივის ასოციაციის პრეზიდენტმა მ. ჟრემ (საფრანგეთი) პროტესტის ნიშნად გადადგომა გადაწყვიტა. არაობიექტური მსაჯობის კლასიკურ ნავალითად ითვლება ადგილების განაწილება თარჯმორბენალ ქალთა ფინალური შეჯიბრების შემდეგ. ათასობით მაყურებლის თვალწინ ფინიშის ხაზი ყველაზე ადრე ჰოლანდიელმა ფ. ბლანკერს-კოენმა გადაკვეთა. ამ ფაქტის უარყოფა აბსურდი იყო, მაგრამ მსაჯებმა მაინც იპოვეს გამოსავალი და იგივე შედეგი ინგლისელ მ. გარდნს მიაკუთვნეს. მას ვერცხლის მედალი გადაეცა, მაგრამ, როგორც ამბობდნენ, ფინიშის ხაზს ოდნავ უფრო ადრე შეეხო ავსტრალიელი შ. სტრიკლენდი. აშკარად მიკერძოებულმა გადაწყვეტილებამ დიდი უკმაყოფილება გამოიწვია მძლეოსნურ წრეებში, მით უმეტეს, რომ ფარსი მრავალი [...] მოწმის თვალწინ გათამაშდა. მაგრამ პროტესტი პროტესტად დარჩა, გულისწყრომა კი გულისწყრომად.

მსაჯთა დაუსჯელი თვითნებობა გრძელდებოდა მძლეოსნობაშიც, ცურვაშიც, კრივშიც და ჭიდაობაშიც.

და მაინც, სწორედ XIV ოლიმპიური თამაშებიდან იწყება თანამედროვეობის ბევრი შესანიშნავი სპორტსმენის კარიერა. აი, თუნდაც ამერიკელი ათჭიდელი რობერტ მათიასი. ამ ნიჭიერმა მძლეოსანმა იოლად მოიგო ტურნირი, ვინაიდან მეტოქეებზე მთელი თავით მაღლა იდგა. გამარჯვებით ბედნიერმა სპორტსმენმა ცხელ გულზე კორესპონდენტებს ასეთი რამ განუცხადა: „მწვრთნელი მეუბნებოდა, ათჭიდში თუ გაიმარჯვებ ნამდვილი მამაკაცი იქნებიო. დღეს მე პირველობა მოვიგე და ვფიქრობ, როგორც ნამდვილ მამაკაცს, უფლება მაქვს წვერის პარსვა დავიწყო“. ოლიმპიური ჩემპიონი მაშინ მხოლოდ 17 წლისა იყო. მათიასმა ჰელსინკშიც მიიღო ოქროს მედალი, მერე კი პროფესიონალი ფეხბურთელი გახდა. მაგრამ წესიერმა და გულმართალმა სპორტსმენმა სულ მალე გაიგო, რას ნიშნავდა პროფესიონალიზმი, და ხმა აიმაღლა მის წინააღმდეგ. მათიასი, ცხადია, დამარცხდა, როგორც დამარცხდნენ მასსავით შეურიგებელი სპორტსმენები. იგი სამუდამოდ ჩამოაცილეს სპორტს.

როცა ლონდონის ოლიმპიადის ყველაზე პოპულარულ სპორტსმენზეა ლაპარაკი, უყოყმანოდ ასახელებენ „მფრინავ ჰოლანდიელს“ ფანი ბლანკერს-კოენს. ეს სრული ჭეშმარიტებაა. ფანიმ ოლიმპიური სარბიელი პირველად ბერლინში მოსინჯა, მაგრამ არაფერი განსაკუთრებული მოუხდენია. სამიოდე წლის შემდეგ იგი მსოფლიო რეკორდსმენი გახდა სიგრძესა და სიმაღლეზე ხტომაში. 1940 წელს ფანიმ თავისი ცხოვრება სამუდამოდ დაუკავშირა ცნობილ ჰოლანდიელ მწვრთნელს კოენს, რომელმაც დიდი ამაგი დასდო მისი ნიჭის საბოლოო ჩამოყალიბებას. „ნისლიანი ალბიონიდან“ ფანიმ შინ 4 ოქროს მედალი ჩაიტანა. მას, სულ ცოტა, კიდევ 2 მედლის მიღება შეეძლო, მაგრამ ოლიმპიური წესდება ერთ სპორტსმენს მხოლოდ ოთხ სახეობაში ასპარეზობის უფლებას აძლევს და მანაც ოქროს ლიმიტი ორ სპრინტერულ დისტანციაში, თარჯრბენსა და ესტაფეტაში გამარჯვებებით ამოწურა. ახალ ოლიმპიურ ჩემპიონს სამშობლოში მოუთმენლად ელოდნენ გულშემატკივრები, თანამემამულეები და ორი მოზრდილი შვილი.

• • •

სურათებზე: XIV ოლიმპიადის საუკეთესო სპორტსმენები რ. მათიასი და ფ. ბლანკერს-კოენი.

# ტურისტულ ბილიკებზე

## ზუგდიდი

წლევანდელი ტურისტული სეზონის ორგანიზებულად დაწყებისათვის ადგილობრივმა ტურისტულმა ბაზამ (დირექტორი — საბჭოთა კავშირის გმირი შ. ქირია) დიდი მოსამზადებელი მუშაობა გასწია. შეკეთდა ყველა შენობა, მოაწესრიგეს ბაზის ეზო, საჭირო რაოდენობით შეიძინეს ახალი საწოლები, თეთრეული, ავეჯი. სეზონის გახსნის დღეს, 23 ივნისს, სტუმართმოყვრულად შეხვდნენ ტურისტთა პირველ პარტიას. ერთ კვირაში ბაზა 600-მდე ტურისტს მოემსახურა.

წლევანდელ სეზონში ზუგდიდის ტურისტული ბაზა 9500-მდე ტურისტს მოემსახურება.

ზ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

• • •

ქალაქის საშუალო სკოლების 100-ზე მეტი მოსწავლე მონაწილეობდა ერთდღიან ტურისტულ ლაშქრობაში ურთის მთის მიდამოებში.

ცაიში მოლაშქრეებს შეუერთდნენ ადგილობრივი, ცაცხლისა და ურთის საშუალო სკოლების 100-მდე მოსწავლე.

ლაშქრობა მიზნად ისახავდა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალ კომპლექსში „სპორტული ცვლის" საფეხურით გათვალისწინებული ტურისტული ჩვევების გამომუშავებას 16-კილომეტრიან დისტანციაზე და ამავე საფეხურის შეჯიბრებას ბურთის ტყორცნაში.

გზად ტურისტებმა დაათვალიერეს ცაიშის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, ი. მეუნარგიას სახლ-მუზეუმი.

შემდეგ გაიშალა კარვები და გაჩაღდა ნორმატივების ჩაბარება. 68 მოსწავლემ ჩასათვლელ შედეგებს მიაღწია, ხოლო 16-კილომეტრიან მარშრუტზე ყველა მონაწილემ ოქროს სამკერდე ნიშანი მიიღო.

ჯ. ფიფია.
(ჩვენი კორ.).

## გორი

მოეწყო რაიონის სოფლების ატენის, ძევერის, ხიდისთავის, სკრის, მეჯვრისხევის, ქვახვრელის, სვენეთის, ჯილქვეულასა და შინდისის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა ტურისტული ლაშქრობა, ლენინძიება სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა.

გ. მთვარელიძე,
რაიონის სპორტსკოლის დირექტორი.

# მარათონი გალიაში



შორ მანძილზე ცურვაში ოფიციალური მსოფლიო რეკორდები არ აღინუსხება. მიუხედავად ამისა, როგორც ამერიკის ქალაქ გროუვ-სიტის (ოგაიოს შტატი) ყოფილი ხაზაზი უოლტერ პენიში ამტკიცებს, 60 მილზე მეტის გაცურვა ჯერ არავის მოუხერხებიაო. ამ 58 წლის ამერიკელმა საგანგებო გალია შეკრა ზვიგენებისგან თავის დასაცავად და გზას გაუდგა ძველი რეკორდის გასაუქმებლად. მაგრამ ოთხჯერ ზვიგენების თავდასხმა იმდენად ძლიერი იყო, რომ მამაცი მოცურავე იძულებული გახდა კატარღაზე ასულიყო. 90-მილიანი დისტანციის ბოლო მეტრებზე გალიას უზარმაზარი თევზი დაესხა თავს, მაგრამ მარათონი მაინც წარმატებით დამთავრდა.

გაზეთ „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბიუნის" ფოტო.

# ევროპა-72

● ვაილე, 10 აგვისტო. დანიის ამ ქალაქში მაგიდის ჩოგბურთის საბჭოთა იუნიორმა ოსტატებმა დიდ წარმატებას მიაღწიეს: უფროსი ასაკის გოგონათა გუნდმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ანგარიშით 3:1 დაამარცხა უნგრელები, ხოლო უმცროსი ასაკის ჭაბუკთა კოლექტივმა გადამწყვეტი მატჩი მოუგო ჩეხის გუნდს — 3:2. საბჭოთა „ოქროს ლაურეატების" წარმატება მით უფრო ღირსშესანიშნავია, რომ შარშან, მაგალითად, გოგონათა გუნდი ამ ასაკობრივ ჯგუფში არც გამოსულა გამარჯვების ერთობ უმნიშვნელო შანსის გამო. აშკარად მოეცარა ხელი უფროსი ასაკის საბჭოთა ჭაბუკების გუნდს, რომელიც აქ ევროპის ჩემპიონის ტიტულით ჩამოვიდა. ამჯერად მან მხოლოდ IV ადგილი დაიკავა, ბრინჯაოსთვის ბრძოლაში შვეციის გუნდთან დამარცხდა — 4:5. ამ ასაკობრივ ჯგუფში გაიმარჯვეს ფრანგებმა, რომლებმაც გადამწყვეტი შეხვედრა ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლებს მოუგეს — 5:4. უმცროსი ასაკის გოგონათა გუნდურ შეჯიბრებაში ყველას აჯობეს უნგრელებმა. ახლა პირადმა ტურნირმა აიღო სტარტი.

● ვილნიუსი, 10 აგვისტო. მშვილდოსნობაში სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონები გახდნენ სოფლის მასწავლებელი ჩილის ოლქიდან, ბურიატი გ. არხიპოვა („უროჟაი") და პი... ვ. ვაიკიარვი („დინამო", პირადი). აი, პრიზიორთა შედეგები 4-2 ვარჯიშის ოთხი დღის ჯამში: ქალები. არხიპოვა — 2404 ქულა, 2. ა. პეუნოვა („დინამო") — 2403, 3. ე. გაბჩენკო (შეიარაღებული ძალები) — 2386; ვაჟები. 1. ვაიკიარვი — 2431, 2. ვ. სიდორუკი („დინამო") — 2396, 3. ა. ბულოვი („დინამო") — 2364. შეჯიბრების მონაწილეებმა რამდენიმე საკავშირო რეკორდი დაამყარეს. თავის შესაძლებლობაზე გაცილებით სუსტად იასპარეზა ევროპის აბსოლუტურმა ჩემპიონმა ქ. ლოსაბერიძემ („ბურევესტნიკი").

● ბერლინი, 11 აგვისტო. ჰოკეისტთა ტრადიციული საზაფხულო ტურნირი მოსკოვის „დინამოსა" და მისი ვაისვასერელი თანაკლუბელების (ეს გუნდი გდრ-ის ჩემპიონია) შეხვედრით გაიხსნა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 8:3. ყველაზე შედეგიანი იყო ა. მალცევი, რომელმაც ვაისვასერელთა კარში სამი შაიბა გაიტანა. პირველ დღეს გაიმართა ტურნირის დანარჩენი ორი მონაწილის შეხვედრაც: ბერლინის „დინამოსა" და ჩესკე-ბუდეიოვიცეს (ჩეხოსლოვაკია) „მოტორის" მატჩი ფრედ დამთავრდა — 5:5.



უშბა.

ევა აზგაროვიჩის (ვარშავა) ფოტო.

# ასპარეზზე მძლეოსნები

მოსკოვი, 11 აგვისტო. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონის დიდ სარბიელზე რსფსრ-ს მძლეოსანთა დღეს დაწყებულ ღია ჩემპიონატში ყველაზე საინტერესო გამოდგა სიმაღლეზე მხტომელ ვაჟთა შეჯიბრება. განსაკუთრებით გამოიჩინა თავი 23 წლის ტანმაღალმა მოსკოველმა ვ. აბრამოვმა („ტრუდი"), რომელმაც მეორე ცდით 223 სმ გადალახა. ეს ჭაბუკი ფოსბიურის ყაიდით ხტება და სიმაღლე 2-3 სანტიმეტრის მარაგით დაძლია. აბრამოვი 226 სანტიმეტრის ზღვართანაც ახლოს იყო, მაგრამ ამაოდ დაშვრა. მაინც მისი შედეგი მესამეა წლეულს მსოფლიოში.

II ადგილი დაიკავა ბერდიჩევულმა რ. ახმეტოვმა, ხოლო III — ლენინგრადელმა ი. ტარმაკმა. მათ 220 სმ გადალახეს.

პირველი დღის სხვა შედეგებიდან უნდა აღვნიშნოთ მოსკოველი ა. ივანოვას მაჩვენებელი ბირთვის კვრაში (18,84 მ) და რიგელი ვ. ფელდმანისისა — შუბის ტყორცნაში (80,74 მ).

ვარშავა, 11 აგვისტო. პოლონეთ — საფრანგეთის მატჩში მოასპარეზე 21 წლის ბ. მალინოვსკიმ 3000 მეტრზე წინაღობებით რბენაში ევროპის რეკორდი გაიმეორა — 8.22,2. ეს შედეგი საუკეთესოა წლეულს მსოფლიოში და მხოლოდ 0,2 წამით ჩამოუვარდება ავსტრალიელი კ. ო'ბრაიენის მსოფლიო რეკორდს. ცხადია, ეს მაჩვენებელი პოლონეთის რეკორდიცაა.

სამი გამარჯვება იზეიმა 200 მეტრზე რბენაში მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, მასპინძელმა ი. შევინსკამ: მან საუცხოო შედეგით (22,7) მოიგო „თავისი" დისტანცია, 100 მ 11,3 წამში გაირბინა და 643 სმ სიგრძეზე გადახტა.

ვ. კომარმა (პოლონეთი) ყველას აჯობა ბირთვის კვრაში — 20,85 მ.

ფრანგმა სპრინტერმა ქალებმა ჰარნემ, მარტენმა, ბესონმა და დიუკლომ 4×400 მეტრზე ესტაფეტაში ფინიშთან მძლავრი ბიძგით გამოგლიჯეს გამარჯვება მასპინძლებს. ორივე გუნდს ერთნაირი შედეგი აქვს — 3.31,3.

დ. სტრაშინსკამ პოლონეთის რეკორდი გაიმეორა 100 მეტრზე თარჯრბენში — 12,7. მისმა თანამემამულე ე. გრიშეცკამ მოიგო შუბის ტყორცნა — 61,64 მ.

სტუმართაგან თავი გამოიჩინეს რ. მეტცმა (200 მ — 20,7) და ჰ. კორვალმა (400 მეტრზე თარჯრბენი — 49,7).

მატჩში გაიმარჯვეს პოლონელებმა: ვაჟთა შორის ანგარიშით 227:202, ხოლო ქალებში — 86:40.

მაგდებურგი, 11 აგვისტო. სიგრძეზე ხტომაში გდრ-ის რეკორდსმენი მ. ოლფერტ-ჰერსტი თანდათან შედის კარგ სპორტულ ფორმაში: აქ გამართულ შეჯიბრებაში მისი შედეგია 654 სმ.

ჰელსინკი, 11 აგვისტო. წლეულს სამმა ფინელმა ბირთვის მკვრელმა 20-მეტრიან ზღვარს გადააცილა. ქვეყნის რეკორდსმენის (20,15 მ) ს. სიმოლას შემდეგ ეს შეძლეს ბ. გრანმა (20,09) და მ. ირიელამ (20,04).

პაკენი, 11 აგვისტო. ფ. შლადენმა აქ გფრ-ის რეკორდი დაამყარა ბირთვის კვრაში — 20,40 მ. კ. ფრეზემ 400 მ 52,3 წამში გაირბინა, ჰ. მაგერლმა 220 სმ სიმაღლეზე გადებული თამასა გადალახა, ხოლო ფ.-ი. კემპერმა წლეულს ევროპაში მეორე შედეგს მიაღწია 800 მეტრზე რბენაში — 1.45,7.

# სპორტის მოყვარულთათვის

ახალი წიგნები

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურულ კომპლექსს სამართლიანად ეძახიან სპორტის ანბანს.

თუ ახალი კომპლექსის ყველა მოთხოვნასა და ნორმას შეასრულებ, ესე იგი, ძლიერი და ჯანმრთელი ხარ, მტკიცე ხასიათი და ნებისყოფა გაქვს, შეგიძლია სიძნელეები გადალახო და დასახულ მიზანს მიაღწიო. რაც უფრო ძლიერი და მტკიცე ჯანმრთელობისაა კაცი, მით უკეთ შეუძლია მუშაობა, სამშობლოს დაცვა.

ერთხელ, ჯერ კიდევ სამამულო ომამდე, მოსწავლეების წინაშე რომ გამოვიდა, იმ დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ მიხეილ კალინინმა ფიზიკური კულტურა ერთ-ერთ მთავარ სასკოლო საგნად დაასახელა — რუსულ ენასთან და მათემატიკასთან ერთად.

სპორტი, ფიზკულტურა ადამიანის ჯანმრთელობის წყაროა. აი, რატომ უნდა ეთმობოდეს მათ სკოლაში ერთ-ერთი უპირველესი ადგილი", — ასე იწყებს თავის წიგნს „მშდ-ს პირველი საფეხური" პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი ი. კოროტკოვი.

ეს წიგნი „მოლოდაია გვარდიამ" გამოსცა. იგი ახალგაზრდა მკითხველს გასცემს პასუხს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" კომპლექსთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე.

„ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოსცა:

„10 მსოფლიოს ჩემპიონი". წიგნი, რომელიც მსოფლიო პირველობაში გამარჯვებულ ცნობილ მოჭადრაკეებს ეძღვნება, დაწერეს საერთაშორისო დიდოსტატებმა ი. ავერბახმა, ა. კოტოვმა, ა. ლილიენტალმა, ს. ფლორმა და სხვ. წიგნს წინასიტყვაობა დაურთო მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა, ფიდე-ს პრეზიდენტმა, დოქტორმა მ. ეივემ.

„ოლიმპიური ტბების ქარებში" დაწერა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვ. ივანოვმა. ამ ავტობიოგრაფიულ წიგნში აკადემიური ნავებით ნიჩბოსნობის ცნობილი საბჭოთა ოსტატი გვაცნობს თავის გზას დიდ სპორტში, გვიამბობს მელბურნის, რომისა და ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებულ წარმატებებზე.

# სტარტები „ბეეც-ზეეზე"

ბრანდენბურგი, 11 აგვისტო. გდრ-ის ამ ქალაქის მახლობლად, ბეეც-ზეეზე, მზიან ამინდსა და ოდნავ ქარში აიღო სტარტი ევროპის ქალთა XIX ჩემპიონატმა აკადემიურ ნიჩბოსნობაში. რბოლის ტრასა ამ ტბაზე სამი წლის წინ მოაწყვეს, მაგრამ იგი უკვე ერთ-ერთ საუკეთესო სანიჩბოსნო დისტანციად ითვლება მსოფლიოში.

კონტინენტის პირველობაში 20 ქვეყნის 200-მდე სპორტსმენი მონაწილეობს (აკადემიური ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის დებულებით, ამ შეჯიბრებაში გამოსვლის უფლება ყველა მსურველს აქვს), მათ შორის, აშშ-ს, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის წარმომადგენლები.

ხუთივე კლასში იასპარეზებენ სსრ კავშირის, გდრ-ის, რუმინეთისა და ჰოლანდიის გუნდები.

პირველმა დღემ საბჭოთა სპორტსმენებს სიხარულიც მოუტანა და გულისტკენაც. ევროპის შარშანდელმა ჩემპიონებმა გ. სუსლინამ და ე. კონდრაშინამ (ორადგილიანი წყვილმოსასმელიანი) წინასწარ სერიაში IV ადგილი დაიკავეს — 3.32,73. გაიმარჯვეს ფრანგებმა ბარნიემ და კამიუმ — 3.25,37. მეორე სერიაში ყველას აჯობეს ჰოლანდიელებმა ვ. აკერსენმა და გ.-დ. ენდემ — 3.25,11.

ერთადგილიანებით შეჯიბრებაში კენჭისყრამ ერთად მოახვედრა კონტინენტის ჩემპიონი ა. კულკე (გდრ) და მოსკოველი ე. ანტონოვა. გაიმარჯვა ტრასის მასპინძელმა — 3.45,64. ანტონოვას შედეგია 3.46,12. მესამე იყო დრაპიე (ბელგია) — 3.59,60.

ოთხადგილიანი წყვილმოსასმელიანების ფინალში გავიდნენ საბჭოთა და რუმინელი სპორტსმენები. მათი შედეგებია შესაბამისად 3.16,64 და 3.18,69. ოთხადგილიანი მესაჭიანი ნავებით შეჯიბრების ფინალში გავიდნენ სსრ კავშირისა და ჰოლანდიის წარმომადგენლები — 3.25,54 და 3.27,60.

ვინაიდან განაცხადი ცოტა იყო, რვაადგილიანების ფინალის შემადგენლობა უკვე განსაზღვრულია: სსრ კავშირი, უნგრეთი, გდრ, ჩეხოსლოვაკია, რუმინეთი და ჰოლანდია.

ფინალები 13 აგვისტოს მოეწყობა.

ა. გრიგორიევი.
(საკდესის კორ.).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




ეძღვნება ფიზკულტურელის საკავშირო დღეს
13 აგვისტოს

„მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩაბარება საწარმოდაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ფიზკულტურის კოლექტივებისთვის.

მსურველებს შეუძლიათ ჩააბარონ ნორმატივები. სტადიონზე მიმღები კომისია 10 საათიდან მუშაობს.

სტადიონის დირექცია.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.
შ 10191.